# საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№6 პერიოდული გამოცემა
2014 წლის ივნისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

## 1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ივნისის მთავარი მოვლენა ევროპის საბჭოში გამართული შეხვედრები იყო. ვიზიტი წარმატებული გამოდგა; კმაყოფილი ვარ იმ ინტერესით, რაც ევროპის საბჭოს მაღალი თანამდებობის პირებმა გამოიჩინეს საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ. მათთვის ნაცნობი აღმოჩნდა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით საქართველოში არსებული გამოწვევები და პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ მათი უმეტესობა ინფორმაციის ერთ–ერთ წყაროდ ასახელებდა ჩვენი ოფისის საქმიანობის ამსახველ ყოველთვიურ ბიულეტენს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ გამართული სპეციალური პრეზენტაცია, რომელსაც ევროპის საბჭოს სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს პარლამენტის წევრებიც ესწრებოდნენ. შედგა საკმაოდ დინამიური და გულწრფელი დიალოგი ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული გამოწვევების თაობაზე, რასაც დადებითი შეფასებები მოჰყვა დამსწრე საზოგადოების მხრიდან.

ჩვენი ვიზიტი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას დაემთხვა. ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი თანაგუნდელებისათვის, ევროპასთან სიახლოვე პირველ რიგში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული (ე.ი. მაღალი) სტანდარტის დამკვიდრების წინაპირობაა. ასოცირების ხელშეკრულებამ კიდევ უფრო დიდი სტიმული უნდა მოგვცეს, რათა ვიმუშაოთ დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების, კანონის უზენაესობისა და საზოგადოებაში თანასწორობის სულისკვეთების დამკვიდრებისათვის.

სტრასბურგში ვიზიტთან ერთად მინდა განვიხილო ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ყოველწლიური დიალოგის მეშვიდე შეხვედრა, სადაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მხრივ საქართ-

## შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 3
4. წარმატებული საქმეები 4
5. გასული თვის მნიშვნელოვანი მოვლენები 7
6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა 11
7. სხვა სიახლეები 13
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 15
9. ღირსშესანიშნავი თარიღები 17
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 18
11. კონტაქტი 18

ველოში არსებული ზოგადი ვითარების შესახებ ანგარიში წარვადგინე. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ მდგომარეობას და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას; ასევე, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმას.

ივნისში შედგა ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის ომბუდსმენთან ქალბატონ სოლედად ბეჩერილთან. ვიზიტმა საშუალება მოგვცა, გავცნობოდით ომბუდსმენსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის საკითხებს, საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშების მომზადების და ესპანეთის სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების პრაქტიკას.

ივნისის დასაწყისში რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი მოვინახულე და მოსახლეობას შევხვდი. ძნელია აუღელვებლად ისაუბრო იმ პრობლემებზე, რაც დღეს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის წინაშე დგას. ეს ადამიანები ფაქტიურად სრული დეფიციტის პირობებში ცხოვრობენ; არ აქვთ გაზი, წყალი, ელექტრო ენერგია, ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა, არ ვითარდება მცირე ბიზნესი, მოუწყობელი გზები საფრთხის შემცველია. მოსახლეობასთან შეხვედრებმა დამარწმუნა მთის კანონის მიღების აუცილებლობაში. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას კიდევ ერთხელ მივმართავ დაიწყოს ამ მიმართულებით მუშაობა, რათა მაღალმთიანი სოფლების დაცლის პროცესი შეჩერდეს და უზრუნველყოფილი იქნეს მსგავსი ადგილების სიცოცხლისუნარიანობა.

სახალხო დამცველის აპარატისთვის ივნისი მეტად დატვირთული თვე იყო. საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანეთ ჩვენი ანგარიში ეფექტური გამოძიების საკითხებზე. ვისაუბრეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ეფექტურად გამოძიების სათანადო მექანიზმის შექმნა. მიხარია, რომ ამ იდეას მხარი დაუჭირეს ჩვენმა პარტნიორმა მეგობრებმა თომას ჰამარბერგმა და კატერინა ბოლონიეზემ. იმედს ვიტოვებ, რომ ასეთივე მხარდაჭერას მოვიპოვებთ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მხრიდანაც.

მეორე დიდი ანგარიში შშმ პატიმართა მდგომარეობის შესახებ წარმოვადგინეთ. ეს პირველი სპეციალიზებული ანგარიშია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ - სხვა მრავალი ქვეყნისთვის, რომლებიც გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის (UN CRPD) მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ.

ამავე თვეში გამოვეცით სპეციალური საინფორმაციო ნარკვევი გამყოფ ხაზზე დაკავებებისა და პატიმართა მდგომარეობის შესახებ. ნარკვევში ასახულია საქართველოს ციხეებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა, გამყოფ ხაზზე დაკავებულ პირთა სტატისტიკა და რეკომენდაციები. ერთი წლის წინ, პირადად გავაჟღერე შეწყალების გზით, პატიმართა ორივე მხარეს გათავისუფლების იდეა და მიმაჩნია, რომ ორივე მხარის მიერ პატიმრების გათავისუფლების ჰუმანური აქტი ხელს შეუწყობს დიალოგის გაძლიერებას, რაც მხოლოდ სარგებელს მოუტანს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას. ამასთან, უნდა შეწყდეს ხანგრძლივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და გამოინახოს რეაგირების ისეთი ფორმა, რომელიც არ დაარღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

## 2. მთავარი მოვლენა

### 2.1. საქართველოს სახალხო დამცველის შეხვედრები სტრასბურგში

**23-27 ივნისს** სტრასბურგში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა სახალხო დამცველმა ევროსაბჭოში შეხვედრები გამართა. უჩა ნანუაშვილი შეხვდა ადამიანის უფლებათა დირექტორატის წევრებს, ადამიანის უფლებათა კომისარს ნილს მუიჟნიეკსს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს ვოიცეხ სავიცკის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტს დინ შპილმენტს. ევროსაბჭოს ლიდერებთან შეხვედრაზე სახალხო დამცველმა საქართველოში ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით დღეისათვის აქტუალურ გამოწვევებსა და პრობლემებზე ისაუბრა.

შეხვედრა ვოიცეხ სავიცკისთან

**25 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიან იაგლანდს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, მიმოიხილა რა ამ სფეროში გასული წლის პოზიტიური ცვლილებები და ისაუბრა დღემდე არსებულ გამოწვევებზე.

უჩა ნანუაშვილის და ტორბიან იაგლანდის შეხვედრა

სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე, კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებზე ზრუნვის მნიშვნელობაზე, ადმინისტრაციული კოდექსის მოდიფიცირებასა და ადმინისტრაციული პატიმრობის 90 დღიანი ვადის 15 დღემდე შემცირებაზე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის გაზრდასა და მისთვის დახურული ტიპის დაწესებულებებში ფოტო გადაღების უფლების მინიჭებაზე.

სახალხო დამცველმა გამოთქვა იმედი, რომ ევროპის საბჭოს დახმარებით ახლახან მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი რეალურად ამუშავდება და ომბუდსმენის ოფისი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად ეფექტურ საქმიანობას შეძლებს.

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა სახალხო დამცველის, როგორც დამოუკიდებელი, სანდო ინსტიტუტის როლს დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების, კანონის უზენაესობისა და საზოგადოებაში თანასწორობის სულისკვეთების დამკვიდრების პროცესში. ბატონმა იაგლანდმა სახალხო დამცველს სამომავლო საქმიანობაში ევროპის საბჭოს მიერ დახმარება აღუთქვა.

**26 ივნისს** სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოში 2013 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ევროსაბჭოს წარმომადგენლებისა და საპარლამენტო ასამბლეის წევრებისთვის გამართულ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, პენიტენციურ სისტემასა და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა მდგომარეობაზე. ევროპის საბჭოს წარმომადგენლებმა ანალოგიური შეხვედრებისთვის სისტემატიური ხასიათის მიცემის სურვილი გამოთქვეს.

# 3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

## 3.1. რეკომენდაცია ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“

**6 ივნისს** სახალხო დამცველმა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“.

მოქალაქე ლ.ჯ. ითხოვდა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისგან 2013 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ მიღებული ფინანსური სახსრების მიზნობრიობის დოკუმენტაციას, ასევე, ინფორმაციას, კონკრეტულად რა ფინანსური საქმიანობიდან ღებულობს სააგენტო დამოუკიდებელ შემოსავალს.

მოქალაქეს არ მიაწოდეს მოთხოვნილი ინფორმაცია, რითიც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ, რომელიც საჯარო დაწესებულებაა და ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.

## 3.2. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

**9 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძეს, შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

შსს კახეთის სამხარეო მთავარმა სამმართველომ უარი განუცხადა საინფორმაციო ცენტრების ქსელის რედაქტორს გელა მთივლიშვილს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. შესაბამისად, უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.

### 3.3. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლის ამბულატორიებში ქალთა შრომითი უფლებების შესაძლო დარღვევების თაობაზე

**16 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ზაზა გულიაშვილს გამგეობის სხდომაზე გაჟღერებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით: „მინისტრის ბრძანებაა, რომ სოფლების ამბულატორიებში გასათხოვარი ექიმების მიღებისგან თავი შევიკავოთ, რადგან ისინი გადამზადების შემდეგ თხოვდებიან და სამსახურს ტოვებენ“.

საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების უზრუნველყოფის აუცილებლობას ითვალისწინებს.

### 3.4. რეკომენდაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს

**18 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მირიანე ოდიშარიას, შეისწავლოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე მარინე მიზანდარისადმი დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონიერების საკითხი და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა, სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების მოტივით. შენიშვნას საფუძვლად დაედო მინისტრის ზეპირი მითითება. მინისტრის მოადგილე არ ყოფილა ჩართული ადმინისტრაციულ წარმოებაში, ბრძანებაში არ არის საუბარი იმაზე, კონკრეტულად რაში გამოიხატა მის მიერ „სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ პირს/ორგანოს ავალდებულებს – წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთან, უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემისას. აღნიშნული დარღვევები ბრძანების ბათილად ცნობისა და საქმის გარემოებების სრულად გამოკვლევის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

## 4. სახალხო დამცველის აპარატის წარმატებული საქმეები

### 4.1. სოციალური დახმარებები

1. უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში მცხოვრებ ს.ა.–ს ოჯახს გაურკვეველი მიზეზით შეუწყდა სოციალური დახმარება. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს წერილობითი მიმართვისა და შესაბამისი პროცედურის გავლის შემდგომ ოჯახს სოციალური დახმარება აღუდგა.
2. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს მონაწილეობით მარნეულის მუნიციპალიტეტში, უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებ ვ.ქ.–ს ოჯახს სოციალური დახმარება დაენიშნა.
3. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე დ.გ.–ს სპეციალური პროგრამის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი“ სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, მედიკამენტებით უზრუნველყოფდა. პროექტი სრულდებოდა 2014 წლის თებერვალში და არსებობდა რეალური საფრთხე, რომ პაციენტი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი მედიკამენტების გარეშე დარჩებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრმა გადაამოწმა ოჯახის მდგომარეობა და მიანიჭა მას სოციალური დახმარებებით სარგებლობის უფლება. სარეიტინგო ქულების დაწევის შედეგად, დ.გ.–მ მოიპოვა უფასო სამედიცინო დაზღვევა და მისთვის ხელმისაწვდომი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციის დასრულებული პროექტის ფარგლებში დაფინანსებული მედიკამენტები.

### 4.2. ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა მამისთვის

გ.ბ.–მ მეორე შვილის შეძენის შემდეგ, გამოთქვა სურვილი ესარგებლა ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულებით, თუმცა დასაქმების ადგილას პრობლემა შეექმნა. დამსაქმებელი თვლიდა, რომ ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულებით არ უნდა ესარგებლა მამაკაცს.

ბავშვის მოვლა ორივე მშობლის ვალდებულებაა, შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსის 27–ე მუხლის იმგვარად განმარტება, თითქოს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა მხოლოდ ქალს შეუძლია, ხელს უწყობს სტერეოტიპის ჩამ-

ოყალიბებას, რომ ბავშვის მოვლა მხოლოდ ქალის საქმეა. სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის სამართლებრივი კონსულტაციის შედეგად, მოქალაქემ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა შეძლო.

## 4.3. მსჯავრდებულის შვილის ნათესაური მინდობის აღზრდის პროგრამაში ჩართვა

ე.თ. ქალთა ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის სასჯელს. 20 მარტამდე მსჯავრდებულთან განთავსებული იყო მისი მცირეწლოვანი შვილი. გარკვეული ასაკის მიღწევის შემდგომ არასრულწლოვანი საცხოვრებლად მსჯავრდებულის დედასთან გადავიდა, რომელიც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ბავშვის აღზრდისათვის სათანადო ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდა.

სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად, სოციალური მომსახურების სააგენტომ შეაფასა ბებიის ოჯახის გარემო-პირობები, რესურსები და მატერიალური მდგომარეობა და მიანიჭა სარეიტინგო ქულა. ამასთან, სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე, ბავშვი „მინდობით აღზრდის პროგრამაში“ ჩაერთო და ნათესაურ მინდობით აღზრდაში მიმღებ ბებიის ოჯახში განთავსდა.

## 4.4. ოჯახში კონფლიქტის შედეგად თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ქალის დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა

8 თვის ორსული ქალი თავის 3 წლის შვილთან ერთად, ოჯახური კონფლიქტის გამო, იძულებული იყო სახლიდან წამოსულიყო. გარკვეული დროის განმავლობაში დედა–შვილი ღამეს სხვადასხვა მისამართზე ათევდა. მას შემდეგ, რაც თავშესაფრის ყოველგვარი რესურსი ამოწურა, ქალმა დახმარება სახალხო დამცველს სთხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარს ამოწურული ქონდა თავშესაფრით სარგებლობის ერთწლიანი ლიმიტი, სახალხო დამცველის შუამდგომლობით, დედა–შვილი თბილისის მეურვეობისა და მზრუნველობის საბჭოს გადაწყვეტილებით ერთი თვის ვადით ჩაირიცხნენ „SOS ბავშვთა სოფლის“ დედათა და ბავშვთა თავშესაფარში.

მშობიარობის შემდეგ იგეგმება მათი დაბრუნება ოჯახში, ვინაიდან ბავშვის ბიოლოგიური მამა არ არიდებს თავს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ძალადობის თავიდან აცილების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი და ადგილობრივი სოციალური სამსახური პერიოდულ მონიტორინგს განახორციელებენ.

## 4.5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, ოზურგეთის რაიონის ერთ–ერთ სოფელში მცხოვრებ ი.გ.–ზე წლების განმავლობაში ძალადობდა მეუღლე.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ეფექტური ღონისძიების განხორციელების წინადადებით ორჯერ მიმართა საქართველოს შს სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოს. შედეგად, მოძალადე ქმარი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული და მას ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 2 000 ლარის ოდენობით.

ღონისძიებამ შედეგი გამოიღო, ძალადობა აღარ განმეორებულა და ქალს საშუალება აქვს იცხოვროს, იმუშაოს და აღზარდოს შვილები ძალადობის განმეორების შიშის გარეშე.

## 4.6. პატიმარს შვილის ნახვის საშუალება მიეცა

N8 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულს არ ეძლეოდა არასრულწლოვანი შვილის ნახვის შესაძლებლობა, რომელიც მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამაში იყო ჩართული. მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას და პაემნით სარგებლობის უფლება მხოლოდ კვირა დღეს ჰქონდა, როდესაც სოციალური მუშაკი არ მუშაობს.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა, რომ არასრულწლოვანს მამის ნახვის საშუალება ქონოდა. შედეგად, მამა–შვილმა ოჯახური პაემნის უფლებით სარგებლობა შეძლო. სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადებით, შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

## 4.7. ბავშვი მინდობით აღზრდაში მიმღებ ოჯახს დაუბრუნდა

წილკნის ბავშვთა სახლში მოთავსებული 11 წლის გ.მ. თავდაპირველად „მეურვეობისა და მზრუნველობის პროგრამით“ ცხოვრობდა მიმღებ ოჯახში ბიოლოგიურ დასთან ერთად, რომლის რთული ქცევის გამო, პროგრამა შეწყდა და და–ძმა წილკნის ბავშვთა სახლში განათავსეს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გ.მ.–მ განაცხადა, რომ იგი ვერ ეგუებოდა წილკნის ბავშვთა სახლში ცხოვრებას, მაშინ, როცა

თავს კარგად გრძნობდა ყოფილ მიმღებ ოჯახში, სწავლობდა თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლაში, ჰქონდა კარგი ურთიერთობა თანაკლასელებთან და პედაგოგებთან, დაკავებული იყო მისთვის საინტერესო აქტივობებით.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეისწავლა ბავშვის უფლებრივი მდგომარეობა და ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებითა და მომავალში სავარაუდო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, გ.მ.-ს მინდობით აღზრდაში მიმღებ ოჯახში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. რაც შეეხება გ.მ.–ს დას, იგი თავისი სურვილით დარჩა წილკანის ბავშვთა სახლში. და–ძმის ფაქტობრივი განთავსების ადგილებს შორის ტერიტორიული სიახლოვის გამო, მათ ერთმანეთის ხშირად ნახვის შესაძლებლობა აქვთ.

## 4.8. დღის ცენტრი ბავშვებისთვის

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე ბავშვების მშობლებმა, რომლებსაც სპეციალიზებული ინტერვენცია ესაჭიროებათ. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლების ოჯახები სახელმწიფოს მხრიდან 75%–იანი თანადაფინანსებით სარგებლობენ, მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო თვეში დარჩენილი 90 ლარის გადახდა სერვისის მომწოდებელი დღის ცენტრებისათვის.

სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მშობლებს, რომელთაც დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართეს, დღის ცენტრის მომსახურება 100% დაუფინანსა.

## 4.9. ვეტერანი პენსიონერის საქმე

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი პენსიონერი ე.კ. სარგებლობდა „საყოველთაო დაზღვევის პროგრამით“ და დაზღვეული იყოს სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“. სადაზღვევო კომპანიის გაკოტრების გამო მოხდა მისი ინტეგრირება „საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში“, თუმცა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ მოხდა მისი უზრუნველყოფა კანონით გათვალისწინებული „ვეტერანთა პაკეტით“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინიტრისადმი საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, ე.კ. ამჟამად საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული „ვეტერანთა პაკეტით“ სარგებლობს.

## 4.10. იძულებით გადაადგილებულთა თავშესაფრით დაკმაყოფილების საკითხი

1. იძულებით გადაადგილებული გ.გ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან თავშესაფრით უზრუნველყოფას ითხოვდა. გ.გ. საცხოვრებელი ფართიდან ხელშეკრულებისა და საკომპენსაციო თანხის გაცემამდე გამოასახლეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს 10 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა, რაც კანონის მოთხოვნის დარღვევაა.

   საქართველოს სახალხო დამცველის დასკვნის შედეგად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ განმცხადებელს დამატებით გამოუყო საკომპენსაციო თანხა 14 265 აშშ დოლარის ოდენობით.

2. სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შეისწავლა აფხაზეთიდან დევნილი ნ.ს.–ს საქმე და წერილობით შეატყობინა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მისი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

   სამინისტრომ გაითვალისწინა სახალხო დამცველის მიმართვა და დაარეგისტრირა იგი ქირის საკომპენსაციო თანხით დასაკმაყოფილებელთა სიაში. ამ ეტაპზე ნ.ს.–ს ქირის საკომპენსაციო თანხა უნაზღაურდება.

3. სახალხო დამცველის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი საქმის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ნ.ა.–სადმი საკუთრებაში გადაცემული ფართი არ შეესაბამებოდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

   სახალხო დამცველის დასკვნა დევნილთა მიმართ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, განმცხადებელმა მტკიცებულებად წარადგინა სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დევნილის სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მისი თავშესაფრით უზრუნველყოფა დაევალა.

### 4.11. სასჯელაღსრულების დაწესებულების შეცვლა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვები და რამდენიმე პატიმარი ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაიყვანა:

1. სასჯელაღსრულების N15 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული ო.ა. დაპირისპირებული იყო ამავე დაწესებულებაში განთავსებულ სხვა მსჯავრდებულებთან. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვა და მსჯავრდებული ო.ა. სხვა დაწესებულებაში გადაიყვანა.

2. სასჯელაღსრულების N8 დაწესებულების მსჯავრდებული ე.გ. მისი ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვდა. სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მსჯავრდებული N17 დაწესებულებაში გადაიყვანა.

3. სასჯელაღსრულების N15 დაწესებულების მსჯავრდებული რ.კ. ითხოვდა დასავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებაში გადაყვანას, ვინაიდან მისი ოჯახი ბათუმში ცხოვრობდა. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ.

### 4.12. მსჯავრდებულთა მკურნალობა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისადმი სახალხო დამცველის არაერთი მიმართვის შედეგად, მსჯავრდებულებს ჩაუტარდათ სამედიცინო გამოკვლევები და მკურნალობა:

1. გ.მ. N8 დაწესებულებიდან N19 სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

2. სასჯელაღსრულების №8 დაწესებულების მსჯავრდებულ გ.ხ.–ს ჩაუტარდა ყბა-სახის ქირურგიული ოპერაცია.

3. სასჯელაღსრულების №17 დაწესებულების მსჯავრდებული ზ.ნ. მხედველობის პრობლემების გამო გადაიყვანეს კლინიკა „მზერაში“ და ჩაუტარდა გამოკვლევები.

4. სასჯელაღსრულების №8 დაწესებულების მსჯავრდებულ ჯ.გ.–ს ჩაუტარდა ჯანმრთელობის ალტერნატიული გამოკვლევა.

## 5. გასული თვის მნიშვნელოვანი მოვლენები

### 5.1. სახალხო დამცველი რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობას შეხვდა

**31 მაისიდან 3 ივნისის** ჩათვლით სახალხო დამცველმა რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა. ოთხდღიანი ვიზიტისას უამრავი პრობლემა გამოიკვეთა: განუვითარებელი ინფრასტრუქტურა; უმუშევრობა; სოციალური მდგომარეობის დაბალი დონე. რეგიონში არ არის ბუნებრივი აირი, რაც გარდა საყოფაცხოვრებო დისკომფორტისა, აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას; ნოტარიუსი არ არის არც ონში და არც ამბროლაურში.

მთიანი რაჭის თემის გლოლას, ღებისა და ჭიორას სოფლების მოსახლეობის წინაშე განსაკუთრებით მწვავედ მკაცრი ზამთრის პირობებში შეშით მომარაგების საკითხი დგას – დაგვიანებით ხდება შეშის მოსაპოვებელი ნებართვების გაცემა. გართულებულია ხე–ტყის დამუშავებისათვის საჭირო ლიცენზიების მოპოვებაც. ფაქტობრივად არ არსებობს სამუშაო ადგილები და მოსახლეობა მცირე–მოსავლიანი მიწების დამუშავებით ირჩენს თავს. გზების უვარგისობის გამო, თემის ამბულატორიაში ექიმი მხოლოდ თვეში ერთხელ ადის.

შეხვედრა ღების მოსახლეობასთან

გაძნელებულმა საცხოვრებელმა პირობებმა სოფლების მიგრაციის დონე მნიშვნელოვნად გაზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამივე სოფელი 87 კილომეტრიან სასაზღვრო ზონაში მდებარეობს და მათი დაცლა სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით საკმაოდ არასასურველი მოვლენა იქნება. მოსახლეობის კლების ტენდენცია ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვრისპირას მდებარე სოფელი ირიშიც შეინიშნება.

ცაგერში კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება 1000–ზე მეტი სტიქიით დაზარალებული ოჯახი, რომლებსაც ამ დრომდე არა აქვთ შესაბამისი საცხ-

ოვრებელი პირობები; ლენტეხში კი 9 სოფელს არ მიეწოდება ელექტროენერგია, ასევე ხელმიუწვდომელია სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება.

სახალხო დამცველმა რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რწმუნებულთან პაპუნა მარგველაძესთან შეხვედრაზე რეგიონში არსებული სირთულეები და ამ სირთულეების დაძლევის გზები განიხილა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს მთიანი რაჭის მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების სრულფასოვანი ანალიზი და რეგიონის სამრეწველო პოტენციალის შესასწავლად და ასამოქმედებლად ეკონომიკის განვითარების სპეციალური გეგმა შეიმუშავოს. მთის შესახებ სპეციალური კანონის დროული შემუშავება სამართლებრივად დაარეგულირებს მაღალმთიანი რეგიონების სტატუსს, ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესის შენელებას და ქვეყნის დემოგრაფიული სურათის გაუმჯობესებას.

## 5.2. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ეფექტური გამოძიების საკითხებზე

უჩა ნანუაშვილი, თომას ჰამარბერგი, ევა პასტრანა

**4 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ეფექტური გამოძიების საკითხებზე ერთობლივი კონფერენცია გამართეს. ღონისძიების ერთ–ერთი ძირითადი რეკომენდაცია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა იყო.

კონფერენციაზე წარმოდგენილი სპეციალური ანგარიში 2013 წლის განმავლობაში სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ფაქტებს, საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე ორგანოების შესახებ ეროვნულ კანონმდებლობას და ეფექტური გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებს მოიცავდა.

შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, რომ ძირითადად, არ ხდება მსგავსი შემთხვევების სწორი კვალიფიკაცია; არის შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტს იგივე უწყება იძიებს, რაც თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების მიუკერძოებლობას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოების მოდელების შესახებ კვლევა წარმოადგინა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს შს სამინისტროს და საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენელთა აზრით, დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის აუცილებლობა არ არსებობს და დასმული პრობლემების მოგვარება არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოშიც არის შესაძლებელი.

კონფერენციაზე, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ეფექტურად გამოძიების სათანადო მექანიზმის შექმნის იდეას მხარი დაუჭირეს ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა საქართველოში თომას ჰამარბერგმა, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა კატერინა ბოლონიეზემ, საქართველოს პარლამენტის ვიცე–სპიკერმა მანანა კობახიძემ და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა.

* ღონისძიება ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ დაფინანსებით გაიმართა.

## 5.3. შშმ პატიმართა მდგომარეობის ანგარიშის პრეზენტაცია

**9 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა შშმ პატიმართა მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში წარმოადგინა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს პარლამენტის მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის (UN CRPD) რატიფიცირების ფონზე.

2013 წლის ოქტომბერ–ნოემბერში ეროვნული პრევენციის მექანიზმის ფარგლებში ჩატარდა მონიტორინგი პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფო უწყებები არ ფლობენ შშმ პირთა შესახებ სტატისტიკას და არ გააჩნიათ მათი იდენტიფიცირებისა და საჭიროების შეფასების მექანიზმი; არ არის დანერგილი შშმ პატიმრებისა და პაციენტებისათ-

ვის რაიმე სახის სარეაბილიტაციო პროგრამა, რაც პაციენტთა ფუნქციონალური სტატუსის დაქვეითებას იწვევს. დიდი ყურადღება დაეთმო ფსიქოაქტიური მედიკამენტების არასამედიცინო მიზნით ჭარბი რაოდენობით მოხმარებასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებზე ზრუნვის სტანდარტების არარსებობის თემატიკას, ასევე, შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სპეციალიზებული მომსახურებების დანერგვის აუცილებლობას.

ანგარიშში სრულად არის წარმოდგენილი სახალხო დამცველის  რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

* მონიტორინგი განხორციელდა და ანგარიში გამოიცა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

## 5.4. სახალხო დამცველის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთში

საქართველოს და ესპანეთის ომბუდსმენები

**10–13 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველი, მართლმსაჯულების და პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ესპანეთის ქალაქ მადრიდში იმყოფებოდა, სადაც ესპანეთის სახალხო დამცველს ქალბატონ სოლედად ბეჩერილს, ესპანეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის, მიგრაციისა და ანტიდისკრიმინაციული დეპარტამენტის, ასევე, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შეხვდა.

დელეგაციის წევრებმა მოინახულეს მადრიდის პოლიციის განყოფილება, გაეცნენ დაკავების პირობებს, დაათვალიერეს დაკავების ცენტრში დამონტაჟებული ვიდეო კამერების ჩანაწერები.

## 5.5. სპეციალური საინფორმაციო ნარკვევი გამყოფ ხაზზე დაკავებებისა და პატიმართა მდგომარეობის შესახებ

**18 ივნისს** სახალხო დამცველმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან მუდმივი დაკავებებისა და პატიმრობაში მყოფი პირების საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ნარკვევი გამოაქვეყნა. ნარკვევში ასახულია საქართველოს ციხეებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა, გამყოფ ხაზზე დაკავებულ პირთა სტატისტიკა და საკითხის მოგვარების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.

ერთი წლის წინ, სახალხო დამცველმა პირველად გააჟღერა შეწყალების გზით, პატიმართა ორივე მხარეს გათავისუფლების იდეა, რასაც დადებითი გამოხმაურება მოყვა არა მხოლოდ პატიმართა ოჯახის წევრებისაგან, არამედ კონფლიქტის ორივე მხარეს მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ორივე მხარის მიერ პატიმრების გათავისუფლების ჰუმანური აქტი ხელს შეუწყობს დიალოგის გაძლიერებას, რაც სარგებელს მოუტანს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას. ამასთან ერთად, უნდა შეწყდეს ხანგრძლივი დაკავებები გამყოფ ხაზზე და გამოინახოს რეაგირების ისეთი ფორმა, რომელიც არ დაარღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

## 5.6. საქართველო-ევროკავშირის ყოველწლიური დიალოგის მეშვიდე შეხვედრა

შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროში

**19 ივნისს** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ყოველწლიური დიალოგის მეშვიდე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მხრივ საქართველოში არსებული ზოგადი ვითარება მიმოიხილა და წინგადადგმულ ნაბიჯებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

ევროკავშირის წარმომადგენელი დაინტერესდა მთავრობის მიერ სახალხო დამცველისთვის ანტიდისკრიმინაციული კანონით მინიჭებული ახალი ფუნქციების განხორციელებისთვის დამატებითი რესურსების გამოყოფის საკითხით.

## 5.7. განცხადება „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის ხელმოწერასთან დაკავშირებით

**20 ივნისი.** საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ საქართველოს სახელით „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის ხელმოწერას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მითუმეტეს, რომ ბოლო დროს გამოვლენილმა ძალადობის ფაქტებმა ცხადყო სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებისა და დამატებითი მექანიზმების არსებობის აუცილებლობა.

„ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენცია ავსებს და აფართოებს ოჯახში ძალადობისგან დაცვის სტანდარტებს. შესაბამისად, კონვენციის რატიფიცირებით შესაძლებელი გახდება ქალთა მიმართ ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების დახვეწა; საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოქმედება.

ხელის მოწერით, სახელმწიფომ გამოავლინა ნება და გადადგა პირველი ნაბიჯები კონვენციის რატიფიცირების გზაზე. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აქტიურად შეძლებს იმპლემენტაციისა და აღსრულების პროცესში ჩართვას და სახელმწიფო გაითვალისწინებს აპარატის როლს ამ მიმართულებით.

## 5.8. თანამშრომლობის მემორანდუმი სახალხო დამცველსა და ენერგოომბუდსმენს შორის

მემორანდუმის ხელმოწერა

**20 ივნისს** სახალხო დამცველმა და ენერგოომბუდსმენმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. უჩა ნანუაშვილი და სალომე ვარდიაშვილი შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე და ხელს შეუწყობენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას ამ მიმართულებით არსებული ამოცანების გადაჭრის პროცესებში; გამართავენ შეხვედრებს კონსულტაციების, დისკუსიების, ინფორმაციის, რჩევების გაზიარების მიზნით; შეიმუშავებენ და განახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს არსებული სირთულეების გადაჭრის მიზნით.

## 5.9. განცხადება ახალგორის ერთ-ერთ მკვიდრთან დაკავშირებით

20 წლის გ.ბ. 4 ივნისს, სამსახურიდან წაიყვანეს ახალგორის დე ფაქტო მილიციაში დასაკითხად როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი და მას შემდეგ მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ახალგორის დე ფაქტო მილიციამ ოჯახს აცნობა, რომ ახალგაზრდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა. საქმეს იძიებს დე ფაქტო საგამოძიებო სტრუქტურები, ასევე, საქმის კურსშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, თუმცა მათ ახალგორში შესვლის საშუალება არ აქვთ.

**23 ივნისს** სახალხო დამცველმა განცხადებით მიმართა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოახდინონ დაკარგულის მოძიებაზე დროული და ეფექტური რეაგირება და ითანამშრომლონ დაკარგულის ადგილსამყოფელის დასადგენად.

„ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უფლებადამცველი ორგანიზაციების მუშაობა კონფლიქტურ რეგიონებში, რათა მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენცია და დარღვევის ფაქტების დროული გამოვლენა“, – აღნიშნა სახალხო დამცველმა.

## 5.10. სახალხო დამცველის დებატები – „გამოწვევები შემწყნარებლობის გზაზე“

**27 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახალხო დამცველმა გამართა დებატები თემაზე – „გამოწვევები შემწყნარებლობის გზაზე“.

ღონისძიების მოდერატორმა ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის ხელმძღვანელმა ეკა აღდგომელაშვილმა ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფოს შექმნისათვის ტოლერანტული გარემოს დამკვიდრების აუცილებლობაზე ისაუბრა. მოხსენებით გამოვიდ-

ნენ სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე შალვა ტაბატაძე და სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის კონსულტანტი ანა ლობჟანიძე.

გამომსვლელებმა მიმოიხილეს ზოგადად ქვეყანაში არსებული ვითარება, ისაუბრეს ბოლო წლებში შეუწყნარებლობის მზარდ ტენდენციაზე, რაც საქართველოს არალიბერალურ და არადემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევის საფრთხის წინაშე აყენებს. აღინიშნა, რომ ტოლერანტული კულტურის დამკვიდრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება, ძველი ეროვნული ნარატივის შეცვლა - ამ პროცესებში მედიის განსაკუთრებული ჩართვა და უმცირესობათა მიმართ ჩადენილი დანაშაულებების აღსაკვეთად ხელისუფლების მხრიდან უფრო მკაცრი პოლიტიკის შემუშავება. ასევე ისაუბრეს განათლების სისტემაში ინტერკულტურული სწავლების ხარვეზებზეც და ლგბტ ჯგუფების მიმართ აგრესიის გამოხატვის შემთხვევებსა და მათ ყოველდღიურ პრობლემებზე.

დებატებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ, შინაგან საქმეთა და მეცნიერებისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებმა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა, სტუდენტებმა და სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა.

## 6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა

### 6.1. იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

**31 მაისს - 1 ივნისს** სტუდენტებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა, რომლის მიზანს სტუდენტთა შორის ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების განვითარება წარმოადგენდა.

იმიტირებული სასამართლო პროცესის გამარჯვებული გუნდის ორი წარმომადგენელი სტაჟირებას სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტში გაივლის.

იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ორგანიზებით ჩატარდა.

### 6.2. შეხვედრა ოქსფამის ოფისის ავღანეთის კოორდინატორთან

**2 ივნისს** სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის კონსულტანტი ანა ლობჟანიძე ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის „ოქსფამის“ ავღანეთის ოფისის კოორდინატორ ბაბრაკ ოსმანს შეხვდა.

შეხვედრა ინფორმაციული ხასიათის იყო; მხარეებმა საქართველოსა და ავღანეთში გენდერული თანასწორობის კუთხით ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე და არსებულ ვითარებაზე რელიგიური, სოციალური და კულტურული საკითხების გავლენის შესახებ ისაუბრეს.

### 6.3. საერთაშორისო ექსპერტის სამუშაო შეხვედრები ბავშვის უფლებათა ცენტრში

**3-11 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საერთაშორისო ექსპერტი, ნორვეგიის ბავშვთა ომბუდსმენი 2004 –2012 წლებში რეიდარ ჰერმანი.

ექსპერტი შეხვდა საქართველოს სახალხო დამცველს და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებს; გაეცნო ბავშვთა ღია და დახურული სამზრუნველო დაწესებულებების მუშაობას; მოინახულა თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაგა-ბაღი; იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში; შეხვდა ბავშვის უფლებათა ცენტრის მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭოს წევრებს და დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ ახალგაზრდებს.

შეხვედრების შედეგად მიღებული მასალა, ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა და ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან, აგრეთვე სხვა შესაბამის საერთაშორისო და ეროვნულ დოკუმენტებთან ერთად, საფუძვლად დაედება ბავშვის უფლებების

ცენტრის მიერ 2014–2016 წლების სამუშაო სტრატეგიის მიზნების დასახვას და მათი ეფექტური განხორციელების წინაპირობა გახდება.

## 6.4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ანგარიში

**5 ივნისს** სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 5 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა. იანვრიდან მაისის ჩათვლით პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მონიტორინგი განახორციელა სასჯელაღსრულების 8 დაწესებულებაში; დროებითი მოთავსების იზოლატორებში, მცირე ტიპის საოჯახო ბავშვთა 30 სახლში; ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებოდნენ პატიმრებს სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში; 145 ვიზიტისას მოინახულეს 1 422 პატიმარი; განიხილეს 810 განცხადება, რომელთა საფუძველზე მოამზადეს და ხელისუფლების შესაბამის ორგანოებში გააგზავნეს 1 845 ოფიციალური წერილი. განცხადებების დაახლოებით ნახევარი ეხებოდა ჯანმრთელობის უფლების დაცვას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ასევე აქტუალური იყო პატიმრებთან მოპყრობის, პატიმართა უსაფრთხოების, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის, გარე სამყაროსთან კონტაქტის, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და პატიმრობის პირობები.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მოამზადა 11 რეკომენდაცია/წინადადება; პატიმრებთან მოპყრობის საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების შესაბამის ორგანოებში გადააგზავნა 26 წერილი; შეიმუშავა წინადადებათა პაკეტი პატიმრობის კოდექსში შესატან ცვლილებებზე; მოამზადა ანგარიში - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და არანებაყოფლობითი მკურნალობის დაწესებულებაში“.

## 6.5. სემინარები რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის

**11-23 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა, გაეროს პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ მხარდაჭერით, რეგიონული მასმედიის წარმომადგენლებისთვის ჩაატარა სემინარები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებებზე. სემინარები სახალხო დამცველის ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ბათუმისა და თელავის ოფისებში გაიმართა.

შეხვედრა ქუთაისში

შეხვედრებზე განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ პოლიტიკური უფლების რეალიზების საკითხები; სიძულვილის ენის გამოვლენის ფაქტები შშმ პირთა საკითხების გაშუქების დროს; შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაწეული საქმიანობა; რეგიონში მცხოვრები შშმ პირების სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტები; საქართველოს სახალხო დამცველის როლი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; გაეროს 2006 წლის მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები და ამ საქმეში სახალხო დამცველის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ფუნქცია; მენტალური შეზღუდვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი რეგულაციები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა.

## 6.6. მესტიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობა

**24–28 ივნისს** სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი მაია გედევანიშვილი და ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ზემო სვანეთში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა/შემოწმების მიზნით.

შეხვედრა მესტიის საჯარო სკოლების დირექტორებთან

სახალხო დამცვლის წარმომადგენლებმა შეამოწმეს მესტიის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები და შეისწავლეს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობა.

გამოიკვეთა, რომ მესტიაში განთავსებულ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში არ არის დაცული სანიტარულ–ჰიგიენური ნორმები და კვების ორგანიზაციული წესების განხორციელების ხარისხი. განსაკუთრებით პრობლემური მდგომარეობაა სოფლების: მუჟალის, ეცერის, მაზერისა და ცხუმარის საბავშვო ბაღებში. სოფლების: წვირმის, ჭოლაშის, ლატალისა და ყარსგურიშის საჯარო სკოლებში გარემო და ინფრასტრუქტურა სრულიად არ შეესაბამება სასწავლო დაწესებულებისთვის სავალდებულო ნორმებს.

განსაკუთრებით მწვავედ დგას შეზღუდული შესაძლებლობების, სპეციალური საჭიროებების მქონე, სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა.

ზემო სვანეთში ჩატარებული მონიტორინგისა და შეხვედრების შედეგად გამოვლენილ ბავშვთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ, სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოება მიმდინარეობის.

### 6.7. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

**30 ივნისს** სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და 2012-13 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის სამუშაო ვერსია წარუდგინა სახელმწიფო უწყებებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, ქეთევან ციხელაშვილი, რეინტეგრაციის, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლები. შეხვედრა გახსნა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ, პაატა ბელთაძემ.

პრეზენტაცია „თბილისი მერიოტში"

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრებმა და ექსპერტებმა წარმოადგინეს ანგარიშები სამართლის უზენაესობის, პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის, სახელმწიფო ენისა და განათლების, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მედიის თემებზე.

მოხსენებების გარშემო გაიმართა დისკუსია; საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ ანგარიშის სამუშაო ვერსიაში შესატანი ცვლილებების შესახებ რეკომენდაციებს ერთი კვირის განმავლობაში წარუდგენენ დარგის ექსპერტებს.

ღონისძიება აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება" მხარდაჭერით გაიმართა.

## 7. სხვა სიახლეები

### 7.1. განცხადება აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედეა ვასაძის ქმედების შესახებ

**9 ივნისს** ტელეკომპანია TV25–მა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრ მედეა ვასაძესა და ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი გაავრცელა, რომელშიც დეპუტატი ჟურნალისტის პირად ცხოვრებას ეხება და ემუქრება.

ჟურნალისტის ინფორმაციით, დეპუტატის მუქარა გამოიწვია მის მიერ მომზადებულმა საგამოძიებო ფილმმა - „უმაღლესი კომფორტით". ფილმი აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საბიუჯეტო ხარჯებსა და მათი საქმიანობის ეფექტიანობას ეხებოდა.

ჟურნალისტის, ისევე როგორც ნებისმიერი ინდივიდის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით მისი ხელყოფა. საქართველოს სახალხო დამცველი გმობს მომხდარ ფაქტს და მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედებები თანამდებობის პირის მხრიდან შეიცავს მედიის თავისუფლებაში უხეში ჩარევის ნიშნებს, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ სახელმწიფოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს და არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

### 7.2. ტყიბულში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ

**9 ივნისს** ტყიბულში მინდელის სახელობის შახტაში საწარმოო პროცესის დროს 6 მეშახტე დაშავდა. ბოლო წლებში სამუშაო ადგილებზე ფატალური შემთხვევებისა და დაშავებულთა რიცხვის მკვეთრი ზრდა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების სიმწვავეს. კერძოდ, მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს რეგულაცია, რომლითაც განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების მონიტორინგი სამუშაო ადგილებზე.

სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო და მოუწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მინდელის სახელობის შახტის ადმინისტრაციას, მიმართონ ყველა ღონეს დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ამასთან, სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, უმოკლეს დროში დაიწყოს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების გატარება სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

## 7.3. სახალხო დამცველის განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით

**14 ივნისს** სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადება გააკეთა სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობაზე და საარჩევნო პროცესში მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გამოთქვა მზადყოფნა, საქართველოს მასშტაბით ზედამხედველობა გაუწიოს არჩევნებში მონაწილე პირთა უფლებების დაცვას.

სახალხო დამცველმა განმარტა, რომ მას არ გააჩნია შესაბამისი მანდატი საარჩევნო უბნებზე დააკვირდეს უშუალოდ ხმის მიცემისა და საარჩევნო უფლების რეალიზაციის პროცესს. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური მობილური ჯგუფები მონიტორინგს უწევდნენ არჩევნების მსვლელობისას ადამიანის სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტებს. ამასთან, მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა ცხელი ხაზი.

**16 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროცესი მიმოიხილა და აღნიშნა, რომ არჩევნები მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა.

მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საშუალებებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაძაბულობა შეინიშნებოდა რამდენიმე საარჩევნო უბანზე, რაც თავისუფალი არჩევნების უფლების დარღვევად შეიძლება შეფასდეს. სახალხო დამცველის განცხადებით, მნიშვნელოვანია უმოკლეს ვადებში დადგინდეს დამნაშავე პირები და დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

## 7.4. ბაქოს XII საერთაშორისო კონფერენცია – ეროვნულ უფლებადამცველთა როლი ქალთა უფლებების უზრუნველყოფისათვის

**17-21 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე სხილაძე ბაქოს XII საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო.

კონფერენცია ქალთა უფლებებზე

კონფერენციაზე განიხილეს ქალთა უფლებების დაცვის ეფექტურ ზომებსა და ქალთა გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. ეკატერინე სხილაძემ გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე წაიკითხა მოხსენება - „გენდერული თანასწორობა: რეალობა და პერსპექტივები“.

## 7.5. სემინარი პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის

**22-25 ივნისს** სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა მონიტორინგის თანამშრომლებმა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ორმა ექსპერტმა მონაწილეობა მიიღეს წამების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ სემინარში სამართალდამცველების მიერ სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებასა და სტამბულის პროტოკოლის პრინციპების თანახმად მუშაობის შესახებ.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები სემინარზე

OMEGA Foundation (UK), IRCT, PRI მხარდაჭერით გამართული სემინარი განკუთვნილი იყო რისკის ჯგუფებთან მომუშავე ექიმებისათვის, იურიდიული ექსპერტებისათვის, ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის, პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და ჟურნალისტებისთვის.

## 7.6. ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტების აკადემია

22-28 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ ბუდაპეშტში ადამიანის უფლებადაცვითი ინსტიტუტების აკადემიის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.

სხვადასხვა ქვეყნის უფლებადაცვითი ინსტიტუტების წარმომადგენლები

საზაფხულო აკადემიის მიზანს წარმოადგენდა პრაქტიკული ტრენინგი ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებისათვის, ასევე პლატფორმის შექმნა გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთ სწავლებისათვის. ძირითადი ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნული ინსტიტუტების სტატუსისა და ფუნქციონირების შესახებ გაეროს პრინციპების (პარიზის პრინციპები), გენდერული მეინსტრიმინგისა და სოციალური და ეკონომიკური უფლებების მონიტორინგის შესახებ სწავლებას.

ღონისძიება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის სკოლის ორგანიზებით ჩატარდა.

### 7.7. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ოს კოლეგებს სახალხო დამცველის სპეციალური ნარკვევი წარუდგინა

**23-26 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველმა კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში მედეა ტურაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის „თვალსაზრისის“ 16-ე შეხვედრაში, სადაც მან ოსური და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს სახალხო დამცველის სპეციალური ნარკვევი გააცნო. „თვალსაზრისი“ არის სამოქალაქო დიალოგის პროცესი, რომელიც მიმართულია ქართულ-ოსური ურთიერთობების ნორმალიზებასა და ნდობის აღდგენისაკენ. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული, ოსური და საერთაშორისო არასამთავრობო და მთავრობათშორისი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### 7.8. სასწავლო ვიზიტი პოლონეთში – UNCRPD იმპლემენტაციისა და მონიტორინგის თაობაზე

**23-27 ივნისს** სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნათია ფირაშვილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთა ერთობლივი პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაში.

შეხვედრების მიზანი იყო გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მექანიზმებისა და სტრუქტურების მუშაობის შესწავლა, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. ვიზიტის მონაწილეები შეხვდნენ პოლონეთის ევროპარლამენტსა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს.

### 7.9. ხმელთაშუა ზღვისპირეთის ომბუდსმენთა გაერთიანების (AOM) კონფერენცია

**25-27 ივნისს** მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ილია ჭანტურაია ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ხმელთაშუა ზღვისპირეთის ომბუდსმენთა გაერთიანების (AOM) კონფერენციაზე იმყოფებოდა. შეხვედრაში 20 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

სამუშაო თემა იყო: „ომბუდსმენის საუკეთესო პარტნიორები დემოკრატიის გაძლიერებისათვის“. განიხილეს ომბუდსმენთა ინსტიტუტების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები; სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხები. მიმოიხილეს წარმოდგენილი ქვეყნების ომბუდსმენთა სამუშაო გამოცდილება და მომავალი თანამშრომლობის საკითხები.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს „ტირანას დეკლარაცია“ – მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ; ასევე, ერთობლივი დეკლარაცია - ნიგერიელი სკოლის მოსწავლეების გატაცების საქმეზე;

## 8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

### 8.1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტის 58-ე სესია

**10 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობითი მოსაზრება წარადგინა საქართველოს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა კომიტეტში წარდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. აღნიშნულ დოკუმენტში საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაზე, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე, მათ შრომით უფლებებზე, ქალთა ძალადობის ფაქტებსა და ადრეული ქორწინების შემთხვევებზე.

**30 ივნისიდან 18 ივლისის** ჩათვლით, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი 58-ე სესიაზე განიხილავს საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებულ ანგარიშს ქალთა დისკრიმი-

ნაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

## 8.2. ადამიანის უფლებათა კომიტეტის 111-ე სესია

**13 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობითი მოსაზრება წარადგინა საქართველოს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა კომიტეტში გაგზავნილ ანგარიშთან დაკავშირებით. დოკუმენტში საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, სიცოცხლის უფლებაზე, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე, სამართლიან სასამართლოსა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე, გადაადგილების თავისუფლებასა და დევნილთა უფლებებზე, რელიგიის თავისუფლებაზე, გამოხატვის, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებასა და უმცირესობათა უფლებებზე გაამახვილა.

## 8.3. საქართველომ ხელი მოაწერა ევროკონვენციის დამატებით მე-15 ოქმს

**19 ივნისს** საქართველომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებით მე-15 ოქმს, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანის წესს ამკაცრებს. ოქმი ევროპული სასამართლოს რეფორმის შემადგენელ ნაწილია, რომელიც პროცედურულ ცვლილებებს ითვალისწინებს.

მე-15 ოქმის თანახმად, სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა ასაკი წარდგენის მომენტში არ უნდა აღემატებოდეს 65 წელს. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ის, რომ ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა 6-დან 4 თვემდე მცირდება. აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, ოქმი ითვალისწინებს სპეციალური დებულების დამატებას ევროპული კონვენციის პრეამბულაში. ცვლილების თანახმად, კონვენციის პრეამბულაში მითითება კეთდება „სუბსიდიარობის პრინციპზე" და „მიხედულების ფარგლების" დოქტრინაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები ემსახურება სასამართლოს განტვირთვას და საქმეების განხილვის ვადის მაქსიმალურად შემცირებას, რისთვისაც აუცილებელია, რომ პრობლემები ეროვნულ დონეზე გვარდებოდეს.

ოქმი ასევე ითვალისწინებს ცვლილებას, რომელიც მხარეებს ართმევს შესაძლებლობას, შეეწინააღმდეგონ საქმის განმხილველი პალატის მიერ იურისდიქციის დიდი პალატისათვის გადაცემის გადაწყვეტილებას კონვენციის 30-ე მუხლის საფუძველზე. ასევე, მე-15 ოქმი ითვალისწინებს „მნიშვნელოვანი ზიანის" დასაშვებობის კრიტერიუმის ცვლილებას. კერძოდ, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის „ბ" ქვეპუნქტიდან შემდეგი სიტყვების ამოღებას: *„ამასთანავე, არ შეიძლება ამ საფუძველზე ისეთი საქმის უკუგდება, რომელიც სათანადოდ არ განხილულა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ"*.

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს იმ პრინციპის დამკვიდრებას, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებათა დარღვევა წევრ სახელმწიფოშივე უნდა აღმოიფხვრას და სტრასბურგის სასამართლოში კომპლექსური საქმეები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა ხვდებოდეს. ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული რეგულირება ფართო შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს უარი თქვას საჩივრის მიღებაზე.

## 8.4. ევროკავშირის სასამართლო ადგენს, რომ მომუშავე ორსული უფლებამოსილია მიიღოს სოციალური დახმარება

**19 ივნისს** ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ორსულ ფრანგ ქალს უფლება ჰქონდა მიეღო სოციალური დახმარება მას შემდეგ, რაც ორსულობის გამო მუშაობა შეწყვიტა დიდ ბრიტანეთში. ჯესი სენტ პრი ბრიტანეთში 2006 წელს ჩავიდა და პედაგოგის თანაშემწედ მუშაობდა. სენტ პრიმ გადაწყვიტა მუშაობის შეწყვეტა, როდესაც იგი ექვსი თვის ფეხმძიმე იყო. მუშაობის შეწყვეტასთან ერთად, სენტ პრის დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა სოციალური დახმარების გაცემაზე, რადგან მათი მტკიცებით, მან დაკარგა დასაქმებულის სტატუსი. დიდ ბრიტანეთში ქალს, რომელიც „უცხოელად" ითვლება ორსულობის პერიოდში, არ აქვს სოციალური დახმარების მიღების უფლება. აღნიშნული დახმარებით სარგებლობისთვის მან დასაქმებულის სტატუსი უნდა შეინარჩუნოს. მშობიარობიდან სამი თვის შემდეგ, სანტ პრი სამუშაო ადგილს დაუბრუნდა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომელითაც ამტკიცებდა, რომ მოკლე პერიოდით შვებულებაში ყოფნისას მას არ დაუკარგავს დასაქმებულის სტატუსი.

დიდ ბრიტანეთში „შემოსავლების მხარდაჭერა" არის დახმარება, რომელიც შეიძლება მიენიჭოს ადამიანების გარკვეულ კატეგორიას, რომელთა შემოსავალი არ აღემატება განსაზღვრულ ოდენობას. ორსული ან/და ახლადნამშობიარები ქალები სარგებლობენ მოცემული დახმარებით მშობიარობამდე და მისი შემდგომი პერიოდის განმავლობაში. თუმცა, „უცხოელი" არაა უფლებამოსილი მიიღოს ეს დახმარება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის არ შეიძენს დასაქმებულის სტატუსს.

ლუქსემბურგში დაფუძნებულმა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ სენტ პრის არ დაუკარგავს დასაქმებულის სტატუსი და მას ჰქონდა უფლება მიეღო დახმარება, რადგან იგი იმყოფებოდა შვებულებაში გონივრული დროით და მშობიარობის შემდეგ განაახლა მუშაობა. სასამართლომ, თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად, აღნიშნა, რომ ევროკავშირის მოქალაქეს, რომელიც აღარ მუშაობს, უფლება აქვს შეინარჩუნოს დასაქმებულის სტატუსი ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა, მაგალითად,

დროებითი შრომისუუნარობა, იძულებითი უმუშევრობა ან პროფესიული გადამზადება. ამასთან, სასამართლოს აზრით, პრეცედენტული სამართლის თანახმად, ცალსახაა, რომ „დასაქმებულად" კლასიფიკაცია და ასეთი სტატუსიდან გამომდინარე უფლებებით სარგებლობა, აუცილებლად არ არის დამოკიდებული მიმდინარე თუ განგრძობადი შრომითი ურთიერთობების არსებობაზე.

## 9. ღირსშესანიშნავი თარიღები

### 9.1. 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

სახალხო დამცველმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ბავშვს მოულოცა და ღირსეულ, ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ცხოვრება უსურვა.

საქართველოს სახალხო დამცველი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე შეისწავლის ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას, მონიტორინგს ახორციელებს ბავშვთა ღია და დახურულ დაწესებულებებში, სწავლობს ბავშვის უფლებების დარღვევების ცალკეულ შემთხვევებს.

### 9.2. განცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით

**14 ივნისი** საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეა და მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ჩართულობის ხელშეწყობა, მათი შესაძლებლობის წარმოჩენა და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული წარმოდგენების დაძლევა.

გაეროს 2006 წლის კონვენციის დებულებების თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

საქართველოს სახალხო დამცველი მზადაა უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგი, დაცვა და პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ორგანიზაციების უშუალო ჩართულობით, რათა ერთობლივი ძალისხმევით გახდეს შესაძლებელი ქვეყანაში კონვენციის წარმატებული იმპლემენტაცია.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს მოახდინოს ასევე კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება და გადადგას ქმედითი ნაბიჯები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების განსახორციელებლად.

### 9.3. ლტოლვილთა საერთაშორისო დღე

**20 ივნისს** მსოფლიო ლტოლვილთა დღეს აღნიშნავს, რათა ყურადღება მივაპყროთ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი სახლები და მოეთხოვათ თავშესაფარი სხვა ქვეყნებში.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებელი პირები საზოგადოების ერთ–ერთ ყველაზე მოწყვლადი კატეგორიაა. აუცილებელია დაცული იყოს ამ პირთა საერთაშორისოდ და შიდა კანონმდებლობით აღიარებული უფლებები. საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა უფლებრივ მდგომარეობას და საპარლამენტო ანგარიშებში ყოველწლიურად განიხილავს ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელ პირთა პრობლემებს.

**21 ივნისს** საქართველოს სახალხო დამცველმა მონაწილეობა მიიღო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ ლტოლვილთა მსოფლიო დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაში, პანკისის ხეობის სოფელ დუისში. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა შეჯიბრებები ახალგაზრდებს შორის.

სახალხო დამცველი მიესალმა ადგილობრივ მოსახლეობას, დახმარება აღუთქვა მათ ადამიანის უფლებათა საკითხებში და იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული იქნება ამ კატეგორიის პირთა, როგორც ჩვენი საზოგადოების სრულფასოვან წევრთა, უფლებების ეფექტური დაცვა.

### 9.4. წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო დღე

**26 ივნისს** მსოფლიო წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღის მიზანია, საზოგადოებას შეახსენოს, რომ წამება ადამიანის უფლებათა დარღვევის მხრივ უმძიმესი დანაშაულია. საქართველოს სახალხო დამცველი შეუერთდა წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო დღის აღნიშვნას და შეახსენა ხელისუფლებას, რომ წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის აკრძალვა ადამიანის აბსოლუტური უფლებაა, რომლიდანაც გადახვევა არანაირი გარემოებების არსებობის დროს არ არის დაშვებული და გამართლებული.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ აუცილებელია შეიქმნას დამოუკიდებელი მექანიზმი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიებას უზრუნველყოფს. ასევე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დროულად უზრუნველყ-

ოს წამების მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია და გაატაროს ეფექტური ღონისძიებები წამების პრევენციისთვის.

### 9.5. 30 ივნისს რამადანის თვე დაიწყო

სახალხო დამცველმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს რამადანის თვის დაწყება მიულოცა. „მინდა განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო ჩვენი მუსლიმი ძმებისა და დებისადმი, ვუსურვო მათ სიხარული, ბედნიერება და სულიერი სრულყოფისაკენ სვლის გზაზე მუდმივი წინსვლა!“– განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

## 10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

### 10.1. ვაკანსიები

ივნისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში გამოცხადდა ვაკანსია შემდეგ სპეციალობებზე:

სპეციალისტი გორში - 1 ვაკანსია;

სპეციალისტი ბავშვის უფლებათა ცენტრში - 1 ვაკანსია;

სპეციალისტი ანალიტიკურ დეპარტამენტში -2 ვაკანსია;

სპეციალისტი პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტში - 2 ვაკანსია;

**20 ივნისს** ჩატარებული გასაუბრების შედეგად - პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტში არსებულ ვაკანსიებზე შეირჩა 2 სპეციალისტი - მერი სამსონია და გიორგი რუხაძე.

### 10.2. სახალხო დამცველისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობის სტატისტიკა

2014 წლის ივნისის თვეში შემოვიდა 704 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 593 განაცხადება დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი –148
- მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 202
- რეგიონალური სამმართველო – 146
- ბავშვთა ცენტრი – 40
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 9
- შშმ პირთა ცენტრი – 42
- ანალიტიკური დეპარტამენტი–6




## 11. კონტაქტი

**თბილისი:**
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

**ბათუმი:**
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

**ზუგდიდი:**
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

**ახალქალაქი:**
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

**თელავი:**
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

**ქუთაისი:**
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

**გორი:**
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

**მარნეული:**
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე